ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 15 მარტის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №6

დ. ხარაგაული 15 მარტი 2021 წელი

9 აპრილის ქ. #15

**სხდომას თავმჯდომარეობდა** - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:**

**რუსუდან გიორგაძე** - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

**პაატა გოგოლაძე** - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე

**პავლე კიკალიშვილი** - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

**გივი თხელიძე** - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

**მალხაზ ფხალაძე** - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

**ოთარ ლურსმანაშვილი** - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

**იუზა კელენჯერიძე** - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე,

**აკაკი ლურსმანაშვილი** - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე,

**დავით კიკნაძე** - საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

**ინგა მაღრაძე** - საკრებულოს ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის" თავმჯდომარე.

**ბიუროს სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:**

1. **შალვა ლურსმანაშვილი,**
2. **ქეთევან ზუმბაძე.**

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

**მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:**

**ვარლამ ჭიპაშვილი** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

**ვლადიმერ გელაშვილი** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

**ნინო მაღლაკელიძე** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო - სახაზინო განყოფილების უფროსი,

**გიორგი ჭყოიძე** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი,

**ზურაბ ბანცაძე** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

**ნანა კიკნაძე** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

**საკრებულოს აპარატი:**

**ზაალ ორბელაძე** - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

**ნინო თხელიძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

**საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:**

**თამარ მაღრაძე** - ა.(ა) ი. პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

**თეა ბერიძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

**სულიკო გლუნჩაძე** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა.

**დღის წესრიგი**

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

**მომხს: მანანა ბარბაქაძე**

**საკითხთა ნუსხა**

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხს: გიორგი ჭყოიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხს: ზურაბ ბანცაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"-ს სახელწოდების ფრაქცია „მოძრაობა ხარაგაულისათვის" სახელწოდებით შეცვლის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

5. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული - ოცნება მწვანეები"-ს რეგისტრაციის შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N 50/70 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

7. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი კომისიების 2021 წლის სამუშაო გეგმების დამტკიცების შესახებ.

მომხს: კომისიის თავმჯდომარეები

9. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი“-ს დამტკიცების შესახებ.

**მომხს: ნანა კიკნაძე**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

**კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:**

**მომხრე - 11**

**წინააღმდეგი - 0**

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს:**

**იუზა კელენჯერიძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ წლების განმავლობაში ხარაგაულის მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყარო იყო მევენახეობიდან მიღებული შემოსავალი და მისი აღორძინების მიზნით საჭიროა მეტი აქტიურობა. მისივე განცხადებით სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მუნიციპალიტეტში საშინელი მდგომარეობაა. მოცემულ საკითხზე მან ასევე კითხვით მიმართა მერიის წარმომადგენლებს თუ რატომ არ მიაჩნიათ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა და რატომ არ არის ბიუჯეტში ასახული შესაბამისი თანხები სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად.

**ვარლამ ჭიპაშვილმა** უპასუხა, რომ თუ წამოვა რაიმე საქმიანი წინადადებები და შესაბამისი პროგრამები მოსახლეობის მხრიდან სოფლის მეურნეობის საკითხებზე, მის დასაფინანსებლად აუცილებლად მოვიძიებთ გარკვეულ თანხებს ბიუჯეტში, მაგრამ დღემდე რაიმე წინადადებები ამ მხრივ მუნიციპალიტეტში შემოსული არ არის. მისივე განცხადებით სოფლის მეურნეობის საკითხებზე კარგი იქნება დარგის სპეციალისტებთან ერთად მოეწყოს ერთი შეხვედრა და განვსაზღვროთ თუ რისი გაკეთება შეიძლება ამ მიმართულებით.

**ინგა მაღრაძემ,** რომელმაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჯერ შესწავლილი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები თუ რა საჭიროებების წინაშე დგას მოსახლეობა და ამის შემდეგ განისაზღვროს პრიორიტეტები.

**პავლე კიკალიშვილმა,** რომელმაც დასვა შეკითხვა იმის შესახებ, რომ გასულ წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რომელი პროექტები არ იყო შესრულებული.

**ვარლამ ჭიპაშვილმა** უპასუხა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების შესრულებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები იყო სოფელ ხუნევში, წიფასა და ფარცხნალში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:**

**მომხრე-11**

**წინააღმდეგი-0**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის გიორგი ჭყოიძის ანგარიში საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

**საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:**

**მომხრე - 11,**

**წინააღმდეგი - 0.**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ბანცაძის ანგარიში საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს:**

**მალხაზ ფხალაძემ**, რომელმაც საკითხის მომხსენებელს მიმართა, რომ მის სამსახურს დებულებით საკმაოდ ბევრი ფუნქციები აქვს დაკისრებული, ხოლო ბიუროს სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაცია არის ძალიან მცირე და მოითხოვა საკრებულოს სხდომისთვის უფრო სრულყოფილი ანგარიშის წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:**

**მომხრე - 11,**

**წინააღმდეგი - 0.**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს:** მოისმინეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"-ს სახელწოდების ფრაქცია „მოძრაობა ხარაგაულისათვის" სახელწოდებით შეცვლის ცნობად მიღების შესახებ (თან ერთვის).

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი ინფორმაციის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე, მისი ცნობად მიღების მიზნით.

**კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:**

**მომხრე - 11,**

**წინააღმდეგი - 0.**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს რეგისტრაციის შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თან ერთვის).

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი ინფორმაციის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**მომხრე - 11,**

**წინააღმდეგი - 0.**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N 50/70 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი ინფორმაციის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**მომხრე - 11,**

**წინააღმდეგი - 0.**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილ იქნეს 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თან ერთვის).

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი ინფორმაციის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**მომხრე - 11,**

**წინააღმდეგი - 0.**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების ინფორმაციები საკითხებზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი კომისიების 2021 წლის სამუშაო გეგმების დამტკიცების შესახებ (სამუშაო გეგმები თან ერთვის).

**საკითხებთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი სამუშაო გეგმების დამტკიცების შესახებ.

**მომხრე - 11,**

**წინააღმდეგი - 0.**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი კომისიების 2021 წლის სამუშაო გეგმები (თან ერთვის).

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი“-ს დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს:**

**ვარლამ ჭიპაშვილმა,** რომელმაც ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ სოციალურ პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამა ორიენტირებულია მოსახლეობის ინტერესებზე და მომავალში კვლავ გაგრძელდება მუშაობა მისი კიდევ უფრო სრულყოფის მიზნით.

**დავით კიკნაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ წარმოდგენილი სოციალური დახმარების პროგრამა არის ამ მიმართულებით კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი. მან კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს იმის თაობაზე, თუ რა ოდენობის თანხაა გათვალისწინებული სოციალურ პროგრამაში მუნიციპალიტეტში მცხოვრები ისეთი მოქალაქის დიაგნოსტირებისათვის, რომლსაც არ აქვს დაზღვევა და სოციალური დახმარება.

**ნანა კიკნაძემ** უპასუხა, რომ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქის დიაგნოსტირებისათვის წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია 500 ლარი.

**ინგა მაღრაძემ,** რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს თუ როგორ ხდება მოქალაქეთა მიმართ ფულადი დახმარების გაწევა გადაუდებელი აუცილებლობის დროს და რა შემთხვევაში ხდება ერთჯერადი დახმარების გაზრდა.

**ნანა კიკნაძემ** გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისას დახმარების თაობაზე უპასუხა, რომ ასეთი შემთხვევის დროს მერიაში იქმნება მობილური ჯგუფი და ადგილზე მისვლით სწავლობს მდგომარეობას. მისივე განმარტებით ამ მიმართულებით ბევრი რამ არის დასახვეწი და ჯერ კონკრეტული კრიტერიუმები შემუშავებული არ აქვთ.

**ვარლამ ჭიპაშვილმა** ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაზრდასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ მოქალაქე რომელიც არის სოციალურად დაუცველი და განიცდის მძიმე მატერიალურ ხელმოკლეობას, კონკრეტული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე უზრდიან ხოლმე ერთჯერადი დახმარების ოდენობას.

**პაატა გოგოლაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამა მუშაობს კარგად და მიესალმება მის კიდევ უფრო დახვეწასა და გაუმჯობესებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი ინფორმაციის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

მომხრე: - 11,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის მორიგი სხდომის  დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს მორიგი სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე  მანანა ბარბაქაძე